ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№10.30/10/017

ქ. თბილისი **15 აპრილი 2013 წელი**

ერთის მხრივ **ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა**, მდებარე: ქ. თბილისი, გრ. რობაქიზის გამზ. №2 (შემდგომში „შემსყიდველი"), რაიონის გამგებლის – **დავით დაღელაშვილის** სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. "ალტა"**, მდებარე: მისამართი ქ. თბილისი, საბურთალოს №35. (შემდგომში „მიმწოდებელი"), ხელმძღვანელის **ირაკლი კაკაბაძის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტია: **ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობისთვის საჭირო მობილური ტელეფონის - ` SONI Xperia Z (Bleck 1080x1920 5.0" 13mp Android v4.1.2 3G Wi-Fi Water resistant) შესყიდვა.**

კლასიფიკატორის კოდი 32250000

1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

1.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1293,94 (ერთიათას ორასოთხმოცდაცამეტი) ლარი 94 თეთრი.**

1.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღე.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: **ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი №2 ჩუღურეთის რაიონის ადმინისტრაციული შენობა.**

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე. 2013 წლის 01 ივნისამდე

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება "შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა და "მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი ანგარიშები.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს" წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

6. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება ამ სფეროში არსებულ სტანდარტებთან და ტექნიკურ ნორმებთან შესაბამისობაში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6.3. მობილური ტელეფონის საგარანტიო ვადა მოიცავს 1 **(ერთი) წელს,** შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, რომლის განმავლობაშიც დაზიანების შემთხვევაში მობილური ტელეფონი უნდა შეკეთდეს ან შეიცვალოს ახლით გონივრულ ვადაში.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

7.3. წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.

7.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება ეტაპობრივად შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7.5. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

– შეამოწმოს მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

– განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პრობების დაცვაზე.

– უარი თქვას უხარისხო საქონლის მიღებაზე.

8.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:

– წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს" საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

– მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

8.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

– მოსთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

– გააფრთხილოს „შემსყიდველი" საქონლის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს "მიმწოდებელს" საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2 (ნული მთელი ერთი მეათედი) პროცენტის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში თუ სამუშაოს მიწოდების ვადის გადაცდენის გამო დაკისრებული საურავის ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს "შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10.6. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11.3. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს:

გამგეობის აპარატის უფროსი ანა გამყრელიძე

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქ. თბილისის ჩუღურეთის
რაიონის გამგეობა ს/კოდი: 202467320
მის: რობაქიძის გამზირი № 2
სს „ლიბერთი ბანკი“ ცენტრ. ფილიალი
ა/ა № GE95LB0125152101627000
ბანკის კოდი LBRTGE22

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. “ალტა”
ს/კ 211380691
მის: ქ. თბილისი, საბურთალოს №35
ს.ს “ლიბერთი ბანკი”
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა № GE85LB0113131561321000
ელსმენი: 2 380038

დ. დაღელიშვილი

ი. ია[illegible]ბაძე

შ.პ.ს. "ალტა"

საბურთალოს ქ. 35
0194 საქართველო თბილისი
T +995 32 2380038 / F +995 32 2510112
info@alta.ge / www.alta.ge

alta electronics

კომერციული წინადადება # SO/1059455
ფილიალი: საბურთალოს მაღაზია
მისამართი: ქ. თბილისი, ს.ცინცაძის ქ.N5

თარიღი: 15.04.2013
გვერდი: 1 (1)

შ.პ.ს. "ალტა"
მისამართი: საბურთალოს ქ. 35
საიდენტიფიკაციო კოდი: 211380691
ბანკი: ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22
IBAN ანგარიში: GE85LB0113131561321000

გადამხდელი: ქალაქ თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

კოდი: 202467320
მისამართი: ელბაქიძის 2
ტელეფონი: 2378763

მიმღები: ქალაქ თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

კოდი: 202467320
მისამართი: ელბაქიძის 2
ტელეფონი: 2378763

#	დასახელება	რ-ბა	ზომის ერთ.	ერთ. ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)
1	Mobile and Smartphones/ Sony/ Sony Xperia Z Black 1080x1920 5.0" 13MP Android v4.1.2 3G Wi-Fi Water Resistant	1	ცალი	1293.94	1293.94
				სულ ჯამი:	1293.94

დ.ღ.გ.-ს ჩათვლით

თანხა სიტყვიერად: ერთი ათას ორას ოთხმოცდაცამეტი ლარი და 94 თეთრი

წინადადება ძალაშია 3 დღე

მენეჯერი: ფურცხვანიძე ნინო

„ალტა" 211380691 შპს

თანხის გადმორიცხვისას, გთხოვთ, დანიშნულებაში მიუთითოთ ფილიალი (საბურთალოს მაღაზია) და კომერციული წინადადების ნომერი (SO/1059455)!

პირადობის მოწმობისა და ბეჭდის (ან მინდობილობის) გარეშე საქონელი არ გაიცემა!

ხელწერილი

ქ.თბილისი 15 აპრილი 2013 წელი

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ქ. თბილისის ჩულურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2013 წლის "15" აპრილს გაფორმებული №10.30/10/017 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქ. თბილისის ჩულურეთის რაიონის გამგეობისათვის საჭირო მობილური ტელეფონის (Sony Xperia Z) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

რაიონის გამგებელი _____ დ. დაღელაშვილი

გამგეობის
აპარატის უფროსი _____ ა. გამყრელიძე